



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 130
17/11/2017

130-03-4-201711171648



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ენვერ ჯაფარიძისათვის, ნაკისრი მოვალეობებისაგან განთავისუფლების გარეშე
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის
მოვალეობების დაკისრების თაობაზე

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. 2017 წლის 20 ნოემბრიდან - 24 ნოემბრის ჩათვლით ენვერ ჯაფარიძეს
ნაკისრი ვალდებულებებისგან განთავისუფლების გარეშე დაეკისროს ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობების შესრულება.


მუხლი 2. ამ ბრძანების შესაბამისად, ენვერ ჯაფარიძეს კუთვნილი ხელფასის
გარდა დამატებით მიეცეს ანაზღაურება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა